

585
1982

(51)



კოლმედიანი
საბჭოთა
ყველა
კვამისა,
შეერთებით!

საქართველოს

№ 9

საბჭოთა

სოციალისტური

1982

რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამომცემა

თბილისი



17293

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 9 (453)

სექტემბერი

1982 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბანყოფილება პირველი

- 277. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
- 278. დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ.
- 279. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო დებუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლების 1982/83—1983/84 სასწავლო წლების სასწავლო-თემატური გეგმის შესახებ.
- 280. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.
- 281. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს დებულება.

ბანყოფილება მეორე

- 282. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 283. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. გ. ა. გოზალიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მიწების შესახებ.
- 284. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ბ. შარდინის სახ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბ ი ნ ა ა რ ს ი

315. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
316. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური მუდმივ-მოქმედი კურსების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
317. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოთა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მისამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.

ბანყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

277 საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებუ-
ლების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დე-
ბულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ბრძანებულებები თანახმად დანართისა.

3. დაწესდეს, რომ ამ ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სსრ
საპატიო წოდებათა შესახებ დებულებაში გაუთვალისწინებელი საქართველოს
სსრ საპატიო წოდებები შეუნარჩუნდებათ პირებს, რომლებსაც ისინი მიენი-
ჭათ ადრე მოქმედი საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულე-
ბების თანახმად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1982 წლის 9 სექტემბერი.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 9 სექტემბრის
ბრძანებულებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

278 საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელ-
მწიფო ჯილდოებია საქართველოს სსრ საპატიო წოდებები და საქართველოს
სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

მუხლი 2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს
სსრ საპატიო წოდებებს აწესებს და მიანიჭებს, საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით აჯილდოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 3. საქართველოს სსრ ახალი საპატიო წოდებების დაწესების შესახებ წარდგინებანი შეუძლიათ შემოიტანონ რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეშვეობით.

საქართველოს სსრ საპატიო წოდებების დაწესების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვთ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით.

მუხლი 4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ სიგელისა და საპატიო წოდებათა სამკერდე ნიშნის ნიმუშებს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

თავი II

საქართველოს სსრ საპატიო წოდებები

მუხლი 5. საქართველოს სსრ საპატიო წოდებები მიენიჭებათ საქართველოს სსრ მოქალაქეებს საზოგადოებრივი წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში, შრომითი საქმიანობის სხვა დარგებში განსაკუთრებული დამსახურების, კომუნისტური მშენებლობის საქმისადმი ხანგრძლივი და უმწიკლო სამსახურისა და მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის.

საქართველოს სსრ საპატიო წოდებები შეიძლება მიენიჭოთ აგრეთვე მუსიკალურ, საგუნდო, ქორეოგრაფიულ და სხვა შემოქმედებით კოლექტივებს.

საქართველოს სსრ საპატიო წოდებები შეიძლება მიენიჭოთ აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეებსა და შემოქმედებით კოლექტივებს.

მუხლი 6. დაწესებულია საქართველოს სსრ შემდეგი საპატიო წოდებები:

1) მრეწველობის დარგში:

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი;

საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი;

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკი;

საქართველოს სსრ დამსახურებული მეთევზე.

2) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში:

საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი;

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი;

3) მშენებლობის დარგში;

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი.

4) სოფლისა და სატყეო მეურნეობის დარგში:

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი;
 საქართველოს სსრ მეცხოველეობის დამსახურებული მუშაკი;
 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი;
 საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი;
 საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმი;
 საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსი;
 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინერი;
 საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე;
 საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი.

5) მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში:

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე;
 საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგი;
 საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი;
 საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი.

6) ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სპორტის დარგში:

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი;
 საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი;
 საქართველოს სსრ დამსახურებული პროფიზორი;
 საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.

7) სახალხო განათლებისა და კადრების მომზადების დარგში:

საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი;
 საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი;
 საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მუშაკი.

8) კულტურისა და ხელოვნების დარგში:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი;
 საქართველოს სსრ სახალხო პოეტი;
 საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი;
 საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორი;
 საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;
 საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი;



- საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი;
- საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი;
- საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი;
- საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი;
- საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი;
- საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლი;
- საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივი;
- საქართველოს სსრ დამსახურებული ორკესტრი.

9. ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგში:

საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი;
 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დამსახურებული მუშაკი.

10. შრომითი საქმიანობის სხვა დარგებში:

- საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი;
- საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი;
- საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი;
- საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი;
- საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი;
- საქართველოს სსრ დამსახურებული ბულალტერი.

მუხლი 7. საქართველოს სსრ ზოგიერთ საპატიო წოდებას აქვს ორი ხარისხი: „დამსახურებული“ და „სახალხო“.

საპატიო წოდება „სახალხო“ შეიძლება მიენიჭოთ ახალი დამსახურებისათვის, როგორც წესი, საპატიო წოდება „დამსახურებულის“ მინიჭების შემდეგ.

მუხლი 8. საქართველოს სსრ სხვა საპატიო წოდებები, როგორც წესი, არ მიენიჭებათ იმ პირებს ან შემოქმედებით კოლექტივებს, რომლებსაც უკვე აქვთ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები.

მუხლი 9. მიენიჭებათ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი — სამრეწველო საწარმოების, გაერთიანებების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და ლაბორატორიების მალაკვალიფიციურ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე მრეწველობის მართვის ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც დარგში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე აქვთ მაღალი საწარმოო მაჩვენებლები, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი — მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც ენერგეტიკის დარგში

ნაყოფიერად იმუშავებს არანაკლებ 20 წლისა და ხეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, შრომის მოწინავე მეთოდების წარმოებაში დანერგვის საფუძველზე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს საწარმოო დავალებათა შესრულებაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკი — საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, მსუბუქი მრეწველობის მართვის ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც დარგში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და თავი გამოიჩინეს საგემო და საწარმოო დავალებათა სისტემატურ შესრულებაში, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ დამსახურებული მეთევზე — საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, თევზდაცვის ორგანოების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საპროექტო ორგანიზაციების, საცდელი სადგურების, თევზისა და სოფლის მეურნეობის ექსპერიმენტული ბაზების მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებმაც მეთევზეობის დარგში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სასაქონლო თევზის, ჩასასმელი მასალის, მოზარდი თევზის მოშენების, ხიზილალისა და მეთევზეობის სხვა პროდუქციის მიღების საგემო და საწარმოო დავალებების შესრულებაში, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევების თევზპროდუქტიულობის გადიდებაში, მოსაშენებელი თევზის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში, მეთევზეობასთან დაკავშირებული სამუშაოების თვითღირებულების შემცირებისა და ეფექტიანობის ამაღლებაში, წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვაში.

საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი — რკინიგზის, საზღვაო, საპაერო და საავტომობილო ტრანსპორტის, გზატკეცილების ექსპლოატაციის სამსახურის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, ლაბორატორიების და ტრანსპორტის მართვის ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც ტრანსპორტზე უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის ტრანსპორტის განვითარებაში, გადაზიდვის ორგანიზაციაში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვაში, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი — მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, კავშირგაბმულობის საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკებს, რომლებმაც კავშირგაბმულობის ორგანოებში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებასა და სრულყოფაში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, მოწინავე გამოცდილების დანერგვაში,

საწარმოების, დაწესებულებების, მოსახლეობის კავშირგაბმულობის სახეობით სანიმუშო მომსახურებისათვის.

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი — წამყვანი პროფესიების მაღალკვალიფიციურ მუშებს, სამშენებლო, სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციების, საშენ მასალათა მრეწველობის, გზების მშენებლობისა და შეკეთების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებმაც მშენებლობის დარგში იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საწარმოო და საავტომობილო დავალებათა შესრულებაში, სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებასა და სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი — კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის მუშებსა და სპეციალისტებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც სოფლის მეურნეობაში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში.

საქართველოს სსრ მეცხოველეობის დამსახურებული მუშაკი — კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებსა და სპეციალისტებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საპროექტო ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაკებს, რომლებმაც მეცხოველეობის დარგში იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების ბაზაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პირუტყვის და ფრინველის რაოდენობის და პროდუქტიულობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდების, მათი თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების, საკვები კულტურების მოსავლიანობის ამაღლების საქმეში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი — საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, მანქანა-მეცხოველეობის და მანქანა-სამელიორაციო სადგურების, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის რაიონული და სარაიონთაშორისო განყოფილებების ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს და სხვა მექანიზატორებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და დიდი დამსახურება მიუძღვით სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე ტექნიკის ათვისებისა და დანერგვის საქმეში.

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი — მაღალკვალიფიციურ აგრონომებს, რომლებმაც კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ორგანოებში, უწყებებსა და სასოფ-

ლო-სამეურნეო პროფილის სხვა ორგანიზაციებში სპეციალობის მიხედვით უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობრივი წარმოების ორგანიზაციაში, მეურნეობის კოოპერირებისა და სპეციალიზაციის, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის მოსავლიანობისა და ხარისხის ამაღლებაში.

საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმი — მაღალკვალიფიციურ ვეტერინარ ექიმებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და თავიანთი მუშაობით ხელი შეუწყვეს საზოგადოებრივი საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობრივი მეცხოველეობის, მეფრინველეობის აღმავლობას და მათი პროდუქტიულობის ამაღლებას.

საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსი — მაღალკვალიფიციურ ზოოტექნიკოსებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მეცხოველეობის, მეფრინველეობის განვითარებაში, მათი პროდუქტიულობის ამაღლებაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინერი — მაღალკვალიფიციურ ინჟინრებს, რომლებმაც სოფლის მეურნეობის დარგში სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და თავიანთი საინჟინრო საქმიანობით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში.

საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე — სატყეო სამრეწველო მეურნეობების, სატყეო მეურნეობების, სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მუშებს, სპეციალისტ-მეტყევეებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ სატყეო მეურნეობის განვითარების, სატყეო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის საქმეში, აქტიურად მონაწილეობენ ბუნების დაცვაში, ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებასა და გამრავლებაში.

საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი — მაღალკვალიფიციურ მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, რომლებმაც დიდი დამსახურება მიუძღვით საირიგაციო სისტემების დაპროექტებაში, მშენებლობასა და ექსპლოატაციაში, რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის და სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებაში, სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა.

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე — მეცნიერ მუშაებს — მეცნიერების დოქტორებსა და პროფესორებს, რომლებიც მუშაობენ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში, მეცნიერებისა

და ტექნიკის დარგში თვალსაჩინო შრომებისათვის, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე აღმოჩენებისა და გამოგონებებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, აქტიური სამეცნიერო-პრაქტიკული და სამეცნიერო-პოპულარიზატორული მოღვაწეობისათვის, სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურისათვის სამეცნიერო კადრების და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის.

საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“ მიენიჭებათ მეცნიერებს, როგორც წესი, სადოქტორო დისერტაციის დაცვიდან არანაკლებ 10 წლის შემდეგ იმ პირობით, თუ საპატიო წოდების მიენიჭების მომენტისათვის მათ მოამზადეს 5 და მეტი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორი.

საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგი — გეოლოგიური სამსახურის მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებმაც გეოლოგიურ ორგანიზაციებში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პრაქტიკული საქმიანობით, აგრეთვე იმ პირობებს, რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღვით სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დაზვერვისა და აღმოჩენის დარგში.

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი — გამომგონებლებს, რომლებიც ეწევიან ხანგრძლივ ნაყოფიერ საგამომგონებლო მოღვაწეობას, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე და სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში დანერგილ გამომგონებათა ავტორებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ტექნიკურ პროგრესში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი — რაციონალიზატორებს, რომლებსაც დამსახურება მიუძღვით რაციონალიზატორული მოძრაობის განვითარებაში, დანერგილი რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებს, რომლებმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს წარმოების სრულყოფაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, პროდუქციის ხარისხისა და შრომის პირობების გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი — უმცროს და საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტულ პერსონალს, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის და საკურორტო მეურნეობის სხვა მუშაკებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით ნაყოფიერად იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, დიდი დამსახურება მიუძღვით ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების განვითარებაში.

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი — ყველა სპეციალობის მაღალკვალიფიციურ ექიმებს, რომლებმაც სამედიცინო, საკურორტო დაწესებულებებში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა (რესპუბლიკის საზღვრისპირა და მაღალმთიან რაიონებში მომუშავე ექიმებისათვის — არანაკლებ 15 წლისა), კეთილსინდისიერად ასრულებენ ექიმის მოვალეობას, მიადრეწენ მნიშვნელოვან წარმატებებს პრაქტიკულ საქიმო ან სამეცნიერო-პედა-

გოგოურ მოღვაწეობაში, დიდი დამსახურება მიუძღვით ჯანმრთელობის დაცვის განვითარების დარგში.

საქართველოს სსრ დამსახურებული პროფიზორი — მალაკვალიფიციურ პროფიზორებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით ნაყოფიერად იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, დიდი დამსახურება მიუძღვით ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების განვითარებაში.

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი — ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს, მათ შორის საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავეებს, რომლებმაც ამ დარგში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკაში მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის განვითარებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი — უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს, რომლებმაც ნაყოფიერად იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სასწავლო-აღმზრდელობით და სამეცნიერო მუშაობაში, დიდი წვლილი შეიტანეს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურისათვის მალაკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში.

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებლებს, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და საბავშვო ბაღების აღმზრდელებს, სახალხო განათლების დაწესებულებათა მუშაკებს, რომლებმაც სახალხო განათლების ორგანოებში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ბავშვებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობისათვის მათ მომზადებაში.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მუშაკი — საწარმოო სწავლების ოსტატებს, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებსა და სხვა მუშაკებს, რომლებმაც სისტემაში ნაყოფიერად იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აღმზრდელობით-პედაგოგიურ საქმიანობაში, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და პროფესიული სწავლების საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი — თეატრის, კინოს, ესტრადის, ცირკის, ანსამბლების მსახიობებს და რეჟისორებს, აგრეთვე ორკესტრთა დირიჟორებს, მუსიკოსებს, რომლებსაც აქვთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“ ან „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“, მიაღწიეს განსაკუთრებით მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას. შექმნეს მაღალმხატვრული სახეები, სპექტაკლები, კინოფილმები, ტელეფილმები, საკონცერტო პროგრამები, დიდი დამსახურება მიუძღვით ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში და თვითნათი აქტიური საზოგა-

ლოებრივი მუშაობით ხელს უწყობენ ხალხის სულიერი და კულტურული ღონის ამღობვას.

საქართველოს სსრ სახალხო პოეტი — საქართველოს ყველაზე გამოჩენილ საბჭოთა პოეტებს, რომლებმაც შექმნეს მაღალიდევური მხატვრული ნაწარმოებები, დიდი როლი შეასრულეს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებასა და გამდიდრებაში.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი — სახვითი ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებსაც აქვთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნაში, თეატრალური სპექტაკლების, კინო და ტელევიზიონების გაფორმებაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის სავანძურში, აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის კულტურის დაწესებულებათა მუშაობაში.

საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორი — „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდების მქონე გამოჩენილ არქიტექტორებს არქიტექტურის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რომელთაც შექმნეს უნიკალური თანამედროვე საზოგადოებრივი, სამოქალაქო, სამრეწველო და სასოფლო არქიტექტურული კომპლექსები, შენობები და ნაგებობები, დიდი წვლილი შეიტანეს არქიტექტურისა და კულტურის ძეგლების რესტავრაციის საქმეში, დიდი დამსახურება მიუძღვით არქიტექტურის მეცნიერებაში.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — კომპოზიტორებს, რეჟისორებს, დირიჟორებს, კინოოპერატორებს, ხელოვნებათმცოდნეებს, დრამატურგებსა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებს სსრ კავშირის შესაბამისი შემოქმედებითი კავშირების წევრებს მაღალმხატვრული თვალსაჩინო ნაწარმოებებისა და ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებზე მნიშვნელოვანი ნაშრომების შექმნისათვის, კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი — თეატრის, კინოს, ესტრადის, ცირკის, ანსამბლების მსახიობებს, აგრეთვე მუსიკოსებს, რომლებმაც მიაღწიეს მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას, შექმნეს მაღალმხატვრული და მაღალიდევური სახეები, სპექტაკლები, კინო და ტელევიზიონები, მუსიკალური ნაწარმოებები, თავიანთი მოღვაწეობით ხელს უწყობენ ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას.

საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი — არქიტექტორებს არქიტექტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქმშენებლობაში, თანამედროვე საზოგადოებრივ, სამოქალაქო, სამრეწველო და სასოფლო არქიტექტურული კომპლექსების, შენობებისა და ნაგებობების შექმნაში, არქიტექტურისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის საქმეში დამსახურებისათვის.

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი — სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრებს — ვაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, დეპეშათა სააგენტოების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რედაქციების მუშაკებს, რომლებმაც ჟურნალისტიკის დარგში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მაღალი პროფესიული ოსტატობისა და აქტიური მუშაობისათვის, ხელი შეუწყვეს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, საბჭოური ცხოვრების წესის და კომუნისტური ზნეობის დამკვიდრებას, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული საბჭოთა ჟურნალისტიკის განვითარებაში, ჟურნალისტთა კადრების მომზადებაში.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი — კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების (მუზეუმების, კულტურის სასახლეების, სახლების, არქივების, კლუბების, პარკების, ხალხური შემოქმედების სახლების, კინოთეატრების, კინოდანადგარების, კინოფილმების გაჭირავების კანტორების), კინემატოგრაფიის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, გამომცემლობების, პოლიგრაფიის, წიგნის ვაჭრობის მუშაკებს, რესპუბლიკის ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკებს, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მუშაკებს, რომლებმაც კულტურის დარგში იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, დიდი დამსახურება მიუძღვით კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სრულყოფისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი — ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მოღვაწეებს, ხალხური მხატვრული რეწვის ოსტატებს, თეატრისა და კინოს მხატვრებს მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებების შექმნისათვის, ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, მონუმენტური და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განვითარებაში წარმატებებისათვის, აგრეთვე დიზაინერებს, საწარმოთა მხატვრებს დიზაინის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი — ბიბლიოთეკის მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებმაც ამ დარგში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, თავიანთი წარმატებული საქმიანობით ხელს უწყობენ მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებას, საბიბლიოთეკო საქმის სანიმუშო ორგანიზაციას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი — სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებმაც სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სავაჭრო და საწარმოო დავალებების შესრულებაში, სავაჭრო ქსელის განვითარებაში, მოსახლეობის მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვაში, ვაჭრობის მაღალი კულტურის მიღწევაში, ვაჭრობის მუშაკთა კადრების მომზადებაში.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დამსახურებული მუშაკი — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და

კომუნალური მომსახურების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებმაც ამ დარგში ნაყოფიერად იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საეგემო, საწარმოო დავალებების შესრულებაში, მომსახურების ახალი სახეობების, პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვაში, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებაში.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი — ყველა სპეციალობის მაღალკვალიფიციურ ინჟინრებს, რომლებმაც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოებში სპეციალობის მიხედვით უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი — მაღალკვალიფიციურ მოწინავე მუშებს, კოლმეურნეებს, ბრიგადირებს, ოსტატებს, რომლებმაც თავიანთი ხანგრძლივი კეთილსინდისიერი მუშაობით განსაკუთრებით შეუწყვეს ხელი ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციასა და ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, პროფტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეების პროფესიულ დაოსტატებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და კადრების დენადობის შემცირებას, აქვე ერთ საწარმოში, ერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის არანაკლებ 15 წლის უწყვეტი სტაჟი და ახალგაზრდობის დამრიგებლად მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.

საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი — პოლიტგანათლების სახლებისა და კაბინეტების პროპაგანდისტებს, კონსულტანტებს, მუშაკებს, პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოება «კოდნის» ლექტორებს, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, პარტიულ მუშაკებს, რომლებმაც პარტიული პროპაგანდის, მარქსისტულ-ლენინური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ნაყოფიერად იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სკკპ პოლიტიკის პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლებაში.

საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი — მაღალკვალიფიციურ ეკონომისტებს, რომლებმაც სახალხო მეურნეობაში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და კულტურის დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და პრაქტიკული, საზოგადოებრივი ან სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ეკონომიკის განვითარების, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვისა და სრულყოფის დარგში, ხელს უწყობენ ეკონომიკური და საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებასა და მისი დონის ამაღლებას.

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი — მაღალკვალიფიციური იურისტებს, რომლებმაც უმწიკვლოდ იმუშავეს სასამართლოებში, პროკურატურის იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგა-

ნობეში ან სპეციალობის მიხედვით იმუშავეს სხვა სახელმწიფო ორგანოებში სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში არანაკლებ 20 წლისა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის პრაქტიკულ მუშაობაში, აქტიურ პრობა-განდას უწევინ საბჭოთა კანონმდებლობას.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი — მაღალკვალიფიციურ ბუღალტრებსა და ბუღალტერ-რევიზორებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, აღრიცხვის კარგი ორგანიზაციით და ფულადი და მატერიალური სახსრების ეფექტიანი გამოყენებით ხელს უწყობენ საწარმოს, მეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის წარმატებით საქმიანობას.

საპატიო წოდებები „საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ორკესტრი“ მიენიჭებათ მუსიკალურ, საგუნდო, ქორეოგრაფიულ და სხვა მხატვრულ კოლექტივებს მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის, წარმატებით საკონცერტო მოღვაწეობისათვის, ქართული საბჭოთა მუსიკალური, საგუნდო ან ქორეოგრაფიული კულტურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის.

მუხლი 10. საქართველოს სსრ საპატიო წოდების მისანიჭებლად საჭირო სტაჟში ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირმა იმუშავა მხოლოდ უშუალოდ სპეციალობის მიხედვით.

მუხლი 11. იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭათ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები, გადაეცემათ სიგელი საპატიო წოდების მინიჭების შესახებ და დადგენილი ნიმუშის ერთიანი სამკერდე ნიშანი.

თავი III

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი

მუხლი 12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მოქალაქეები, აგრეთვე საწარმოები, გაერთიანებები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, შემოქმედებითი კოლექტივები, რაიონები, ქალაქები, დაბები, სასოფლო საბჭოები სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის განვითარებასა და სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საქმიანობის სხვა დარგებში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის; ჯარის ნაწილები და სამხედრო მოსამსახურეები ჯილდოვდებიან საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით შეიძლება დაჯილდოვდნენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეები და შრომითი კოლექტივები, აგრეთვე პირები, რომლებიც არ არიან სსრ კავშირის მოქალაქეები.

პ. მარტის სახ. საპ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბ ი ზ ლ ი რ თ ე მ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებულნი ახალი დამსახურებისათვის შეიძლება ხელახლა დაჯილდოვდნენ სიგელით, როგორც წესი, არა უადრეს ხუთი წლისა წინა დაჯილდოების შემდეგ.

მუხლი 18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოება შეიძლება სიკვდილშემდგომად.

თავი IV

საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დასაჯილდოებლად წარდგენის წესი

მუხლი 14. საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოება წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგინებით მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით.

წარდგინებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანება როგორც ზემოაღნიშნული ორგანოების ინიციატივით, ისე მათი ქვემდგომი ორგანოების, საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შუამდგომლობით.

მუხლი 15. შუამდგომლობა საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ აღიძვრება ზემდგომი ორგანოს ან ორგანიზაციის წინაშე, როგორც წესი, იმ შრომით კოლექტივში, სადაც მუშაობს ჯილდოზე წარსადგენი პირი. შუამდგომლობას აღძრავს ადმინისტრაცია საწარმოს, დაწესებულების, გაერთიანების, ორგანიზაციის პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად. შუამდგომლობაში უნდა იყოს დაწვრილებითი ცნობები საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოზე წარსადგენი პირის საწარმოო, სამეცნიერო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის შესახებ.

შუამდგომლობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საწარმოების, გაერთიანებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების დაჯილდოების შესახებ აღძრავენ ზემდგომი ორგანოები, ხოლო ჯარის ნაწილების თაობაზე — ზემდგომი სამხედრო სარდლობა.

შუამდგომლობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით რაიონების, ქალაქების, დაბების, სასოფლო საბჭოების დაჯილდოების შესახებ აღძრავენ შესაბამისი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

შუამდგომლობას საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა, მუშა-მოსამსახურეთა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარებისა და ორგანოების, შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირთა დაჯილდოების შესახებ აღძრავენ სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოები, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

მუხლი 16. შუამდგომლობანი საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ განხილული უნდა იქნეს სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასკომების სხდომებზე, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების კოლეგიების სხდომებზე, სამეცნიერო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კავშირების პრეზიდიუმებსა და სამეცნიერო საბჭოებში, აგრეთვე პროფსაბჭოს დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტის მიერ. საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება დადგენილი ნიმუშის დაჯილდოების ფურცელთან ერთად, ხოლო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ კადრების აღრიცხვის პირად ფურცელთან ერთად იგზავნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

მუხლი 17. იმ პირთა საბუთებს, რომლებიც წარდგენილი არიან „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად, თან დაერთვის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხისა და პროფესორის წოდების დიპლომა პირები, სამეცნიერო შრომების ნუსხა; „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“, „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“, „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდებების მისანიჭებლად წარდგენისას — ნაწარმოებთა სია ან თეატრებსა და კინოში შესრულებული ძირითადი როლების, ანდა თეატრებსა და კინოში დადგმული სპექტაკლების ნუსხა; „საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდებების მისანიჭებლად წარდგენისას — შექმნილი პროექტებისა და არქიტექტურულ გადაწყვეტათა ნუსხა; „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ საპატიო წოდებების მისანიჭებლად წარდგენისას — გამომგონებთა საავტორო მოწმობებისა და რაციონალიზატორულ წინადადებთა მოწმობების ნუსხა, აგრეთვე ცნობები მათი დანერგვისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ.

მუხლი 18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ გამოსცემს ბრძანებულებებს, რომლებიც საყოველთაო გაცნობისათვის ქვეყნდება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და რესპუბლიკურ, ადგილობრივ ან საუწყებო პრესაში.

თავი V

საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის წესი

მუხლი 19. საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოები გადაიციმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და დავალებით საზეიმო და ფართო საჯაროობის ვითარებაში.

მუხლი 20. საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებს გადასციმენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი და წევრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოს სსრ მთავრობის წევრები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, მდივანი და წევრები, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირები.

მუხლი 21. საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების გადაცემა წარმოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებში, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, შრომითს კოლექტივებში, სადაც დაჯილდოებულები მუშაობენ, საზეიმო კრებებზე, სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე, თათბირებზე, მოწინავეთა შეკრებებსა და სხვა კრებებზე.

მუხლი 22. სამხედრო მოსამსახურეებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოები შეიძლება გადასცეს აგრეთვე ჯარის ნაწილების სამხედრო სარდლობამ.

მუხლი 23. საწარმოს, გაერთიანებას, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეობას, დაწესებულებას, ორგანიზაციას, შემოქმედებით კოლექტივს, რაიონს, ქალაქს, დაბას, სასოფლო საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი გადაეცემა საზეიმო კრებაზე, სხდომაზე, ხოლო ჯარის ნაწილს — ჯარის ნაწილის პირადი შემადგენლობის ან მისი წარმომადგენლების საზეიმო კრებაზე.

მუხლი 24. დაჯილდოებულს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდო უნდა გადაეცეს იმ ორგანოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ამონაწერის მიღების დღიდან არაუგვიანეს ერთ თვისა, რომელსაც დაევალა გადაცემის ორგანიზაცია.

მუხლი 25. ცალკეული პირებისა და შრომითი კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის შესახებ დაება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ჯილდოს გადამცემი პირი, და მისი დამოწმება ხდება იმ ორგანოს ბეჭდით, რომლის წარმომადგენელია გადასცა ჯილდო. საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის ოქმები წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

დაჯილდოებულია უფლებები და მოვალეობები

მუხლი 26. ის პირნი, რომელნიც დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით, სანიმუშო უნდა იყვნენ შრომაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, სამხედრო მოვალეობის, სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, საბჭოთა კანონებით დაკისრებულ სხვა მოვალეობათა შესრულებაში.

მუხლი 27. სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაცია, შრომითი კოლექტივები, ჯარის ხაწილების სარდლობა მუშაობას ეწევიან დაჯილდოებულთა შიღწევებისა და დაძახებების პროპაგანდისათვის, ავრცელებენ მათ მოწინავე გამოცდილებას, ზრდიან მოქალაქეებს, განსაკუთრებით მოზარდ თაობას, იმ პირთა დაძახებებისადმი პატივისცემისა და მადლიერების სულისკვეთებით, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოვდნენ.

მუხლი 28. ის პირნი, რომლებიც საქართველოს სსრ ჯილდოებით დაჯილდოვდნენ, სარგებლობენ შედეგათებით კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 29. საწარმოს, გაერთიანების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის, ჯარის ნაწილის, რაიონის, ქალაქის, დაბის, სასოფლო საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ტექსტი შეიძლება გამოიკრას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს შენობაზე, დარბაზში, სადაც ტარდება მისი სესია, აგრეთვე სხვა ადგილებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრებისამებრ.

მუხლი 30. გარდაცვლილ დაჯილდოებულთა ან სიკვდილშემდგომ დაჯილდოებულთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, სიგელი საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ, საქართველოს სსრ საპატიო წოდების სამკერდე ნიშანი რჩება ან გადაეცემა მათ ოჯახებს სამახსოვროდ შესანახად.

გარდაცვლილი ან სიკვდილშემდგომ დაჯილდოებულის მემკვიდრეთა თანხმობით მისი ჯილდო, დაჯილდოების შესახებ დოკუმენტი და სამკერდე ნიშანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეს მუზეუმს შესანახად და ექსპონირებისათვის.

თუ გარდაცვლილ დაჯილდოებულს მემკვიდრეები არა ჰყავს, მისი ჯილდო, დაჯილდოების შესახებ დოკუმენტი, სამკერდე ნიშანი დაუბრუნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუხლი 31. დაჯილდოებული საწარმოს, გაერთიანების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის, შემოქმედებითი კოლექტივის რეორგანიზაციის შემთხვევაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-

ქოს პრეზიდენტის საპატიო სიგელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიძლება შეუნარჩუნდეს მონაცვლეს. შუამდგომლობას მონაცვლისათვის ჯილდოს შენარჩუნების შესახებ აღძრავს რეორგანიზაციის მომხდენი ორგანო.

დაჯილდოებული საწარმოს, გავრთიანების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციისას, ჯარის ნაწილების დაშლისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის საპატიო სიგელი უნდა დაუბრუნდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტს, ანდა მისი ნებართვით შეიძლება გადაეცეს მუზეუმს შესანახად და ექსპონირებისათვის.

მუხლი 32. იმ პირებმა, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით, სათუთად უნდა შეინახონ ისინი.

საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ სიგელის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის საპატიო სიგელის დაკარგვის შემთხვევაში დაჯილდოებულს უფლებები უნარჩუნდება.

საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ სიგელის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის საპატიო სიგელის, საპატიო წოდების სამკერდე ნიშნის დუბლიკატები, როგორც წესი, არ გაიცემა. ისინი შეიძლება გასცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტმა მხოლოდ გამონაკლისის წესით — სიგელების, სამკერდე ნიშნის სტიქიური უბედურების შედეგად, ანდა სხვა გარემოებაში დაკარგვის შემთხვევაში, როდესაც დაჯილდოებულს არ შეეძლო მათი დაკარგვის თავიდან აცილება.

თავი VII

საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევა

მუხლი 33. საქართველოს სსრ საპატიო წოდების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის საპატიო სიგელის ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტს იმ შემთხვევებში:

ა) თუ დაჯილდოებული მსჯავრდებულია მიმე დანაშაულისათვის — სასამართლოს წარდგინებით კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით;

ბ) თუ პირმა ჩაიდინა ისეთი გადაცდომა, რომელიც სახელს უტეხს მას როგორც დაჯილდოებულს, — დაჯილდოების შესახებ წარდგინებათა შეტანის უფლების მქონე ორგანოს წარდგინებით;

გ) თუ დაჯილდოებულს ჩამოერთვა სსრ კავშირის მოქალაქეობა.

მუხლი 34. სიგელი საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის საპატიო სიგელი, რომლებიც სახელმწიფო ჯილდოჩამორთმეულ პირს ეკუთვნის, უნდა დაუბრუნდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტს.

თავი VIII

პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების მიმართ უკანონო მოქმედებისათვის

მუხლი 35. აკრძალულია სიგელების, ნიშნებისა და სამკერდე ნიშნების დაწესება და დამზადება, რომლებიც გარეგნულად წააგავს სიგელს საპატიო წოდების მინიჭების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელს, საქართველოს სსრ საპატიო წოდებების სამკერდე ნიშანს.

მუხლი 36. იმ პირის მიერ საქართველოს სსრ საპატიო წოდების სამკერდე ნიშნის ტარება, რომელსაც არა აქვს ამის უფლება, აგრეთვე მისი მითვისება ან საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების მიმართ სხვა უკანონო მოქმედება გამოიწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშქარაშვილი.

„საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულების დანართი

ნ უ ს ს ა

საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 6 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ სამკერდე ნიშნების ნიმუშებისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ., № 5, მუხ. 43);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატვისციემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის შესახებ დებულების დამტკიცების ნაწილში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ., № 6, მუხ. 354);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 26 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებუ-

ლების ახალი რედაქციის დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979 წ. № 4, მუხ. 83);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 16 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1980 წ., № 5, მუხ. 150);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული მეთევზის საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1980 წ., № 12, მუხ. 366);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ მეცხოველეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 9, მუხ. 184);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 9, მუხ. 185);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროზაგანდისტის საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 10, მუხ. 222);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 27 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1982 წ., № 5, მუხ. 126);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 27 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1982 წ., № 5, მუხ. 127).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშქარაშვილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

279 სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა მუშაველობის ორწლიანი სკოლების 1982/83—1983/84 სასწავლო წლების სასწავლო-თემათიკური გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომთან არსებული საბჭოთა მუშაველობის ორწლიანი სკოლების 1982/83—1983/84 სასწავლო წლების სასწავლო თემათიკური გეგმა და დაეგზავნათ იგი სახელმძღვანელოდ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. გათვალისწინებულ იქნეს წინა წლებში მეცადინეობის ერთიანი დღის ჩატარების დადებითი პრაქტიკა და დაწესდეს მომავალში მეცადინეობის ერთიანი დღის ჩატარება ყოველი თვის მეორე პარასკევს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 9 სექტემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

280 რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს დებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 21 სექტემბერი

დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 21 სექტემბრის ბრძანებულებით.

281 რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს დებულება

1. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად სახალხო მსაჯულთა საბჭო იქმნება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან.

მუხლი 2. სახალხო მსაჯულთა საბჭო არჩევითი საზოგადოებრივი ორგანოა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს იმ საქმიანობაში, რომელსაც იგი ეწევა მართლმსაჯულების განსახორციელებლად, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლისა და აგრეთვე გამაფრთხილებელი ხასიათის ღონისძიებათა ჩატარებისათვის.

მუხლი 3. სახალხო მსაჯულთა საბჭოს ირჩევენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა კრებაზე ღია კენჭისყრით სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილების ვადით. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე საბჭოს ასარჩევად სახალხო მსაჯულთა კრებას იწვევს არა უგვიანეს ერთი თვისა რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს მიერ სახალხო მსაჯულთა სიის მიღების დღიდან.

საბჭოს წევრთა რაოდენობას ადგენს სახალხო მსაჯულთა კრება, მაგრამ მათი რიცხვი შეიძლება ნაკლები არ შეიძლება იყოს. საბჭოს შემადგენლობაში არჩეულად ჩაითვლებიან სახალხო მსაჯულები, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილე სახალხო მსაჯულთა ხმის უმრავლესობა.

სახალხო მსაჯულთა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს.

სახალხო მსაჯულთა საბჭო ქმნის სექციებს თავისი საქმიანობის ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით. საბჭო სექციების ხელმძღვანელებსა და შემადგენლობას ამტკიცებს საბჭოს წევრებისა და სხვა სახალხო მსაჯულთა რიცხვიდან.

მუხლი 4. სახალხო მსაჯულთა საბჭო თავისი საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 5. სახალხო მსაჯულთა საბჭო ვაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს სახალხო მსაჯულთა კრებას წელიწადში ერთხელ მაინც.

მუხლი 6. სახალხო მსაჯულთა საბჭო თავისი კომპეტენციის საკითხებზე ურთიერთმოქმედებს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებსა და ინსპექციებთან, ადმინისტრაციულ და სამეთვალყურეო კომისიებთან, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებთან, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოებთან, ნებაყოფლობით სახალ-

ხო რაზმეულებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოებთან, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

II. სახალხო მსაჯულთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

მუხლი 7. ამ დებულების მე-2 მუხლში მითითებული ამოცანების შესრულების მიზნით სახალხო მსაჯულთა საბჭო:

ხელს უწყობს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სასამართლოში მოვალეობათა შესასრულებლად სახალხო მსაჯულთა გამოძახების რეგისობის შესახებ კანონის მოთხოვნათა განხორციელებაში.

მონაწილეობს სახალხო მსაჯულებთან მეცადინეობის ორგანიზაციაში მათი სამართლებრივი ცოდნის ასამაღლებლად;

დახმარებას უწევს სახალხო მსაჯულებს ამომრჩეველთათვის ანგარიშების ჩატარების ორგანიზაციაში და აკონტროლებს მათ ჩატარებას; ინფორმაციას აწვდის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ამომრჩეველთა შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს მუშაობას შეეხება;

ხელს უწყობს მართლმსაჯულების აღმზრდელობითი მნიშვნელობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებას;

უზრუნველყოფს სახალხო მსაჯულთა მონაწილეობას პირობით მსჯავრდებულთა ყოფაქცევისადმი კონტროლის განხორციელებაში; არკვევს, შინაგან საქმეთა ორგანოებს, ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს დაწესებული აქვთ თუ არა კონტროლი მსჯავრდებულთა ყოფაქცევისადმი, რომელთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება გადადებულია; აგრეთვე აღსრულებულია თუ არა განაჩენი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება განსაზღვრული შრომითი კოლექტივის ან პირისათვის მსჯავრდებულზე ზედამხედველობისა და მასთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების მოვალეობის დაკისრებას;

ხელს უწყობს სასამართლოს ალიმენტების გადახდევინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განაჩენთა დროულად აღსრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

მონაწილეობს სასამართლოს კერძო განჩინებათა გამო ზომების მიღებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

ხელს უწყობს სასამართლოს განაჩენთა და გადაწყვეტილებათა ფართოდ განხილვას საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას;

ისმენს სექციების ხელმძღვანელთა და სახალხო მსაჯულთა ინფორმაციებს გაწეული მუშაობის შესახებ, იძლევა რეკომენდაციებს მისი გაუმჯობესების

თაობაზე და ორგანიზაციის უწყევს მათი მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარებას;

ინფორმაციას აწვდის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს პირობით მსჯავრდებულთა გამოსასწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად, ალიმენტების გადახდევინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა, სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებათა, განაჩენთა და კერძო განჩინებათა შესასრულებლად, აგრეთვე სხვა საკითხებთან დაკავშირებით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობაში ნაკლოვანებათა თაობაზე.

სახალხო მსაჯულთა საბჭო აღძრავს შუამდგომლობებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე სასამართლოში აქტიური მუშაობისათვის სახალხო მსაჯულთა წახალისების შესახებ.

III. სახალხო მსაჯულთა საბჭოს საქმიანობის წესი

მუხლი 8. სახალხო მსაჯულთა საბჭო მუშაობს საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმით. სამუშაო გეგმა დგება ყოველკვარტალურად, მისი შესრულებისადმი კონტროლს ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 9. სახალხო მსაჯულთა საბჭოს სხდომები ტარდება სულ ცოტა კვარტალში ერთხელ და უფლებამოსილად ითვლება, თუ მათ ესწრება საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს გადაწყვეტილებანი მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით. სხდომების ოქმებს ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

სახალხო მსაჯულთა საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღება შეუძლია რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

მუხლი 10. სახალხო მსაჯულთა საბჭოს სასამართლოს მუშაობის მოცულობისა და პირობების, სახალხო მსაჯულთა რაოდენობის მიხედვით შეუძლია სახალხო მსაჯულთაგან შექმნას შემდეგი სექციები:

პირობით მსჯავრდებულთათვის გამოტანილი განაჩენების, აგრეთვე იმ მსჯავრდებულთა მიმართ განაჩენის აღსრულებისადმი კონტროლისა, რომელთაც გადაედოთ თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება;

ალიმენტების გადახდევინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა, სახელმწიფო, კოაპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განაჩენთა აღსრულებისადმი კონტროლისა;

სასამართლოს კერძო განჩინებათა შესრულებისადმი კონტროლისა;

მართლმსაჯულების აღმზრდელობითი მნიშვნელობის ამბღლების ღონისძიებათა განხორციელებაში ხელის შეწყობისა.

საბჭოს შეუძლია შექმნას სხვა სექციებიც, აგრეთვე სექციები თავისი საქმიანობის რამდენიმე მიმართულების მიხედვით. სექციების დაკომპლექტებისას გაითვალისწინება სახალხო მსაჯულთა პროფესია, ცხოვრებისეული გამოცდილება და სურვილი.

მუხლი 11. სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარე:

იწვევს საბჭოს და თავმჯდომარეობს მის სხდომებზე;
 განსაზღვრავს მორიგ სხდომაზე განსახილველ საკითხებს;
 აძლევს დავალებებს საბჭოს წევრებსა და სხვა სახალხო მსაჯულებს;
 ორგანიზაციას უწევს მუშაობას საბჭოს გადაწყვეტილებათა შესასრუ-
 ლებლად;

ინფორმაციას აწვდის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავ-
 მჯდომარეს სახალხო მსაჯულთა საბჭოს მუშაობის შესახებ.

სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის
 უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 12. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე
 წარმართავს სახალხო მსაჯულთა საბჭოს მუშაობას, აცნობს საბჭოს წევრებსა
 და სხვა სახალხო მსაჯულებს სასამართლოს ამოცანებს, ორგანიზაციასა და
 საქმიანობას, ეხმარება საბჭოს მუშაობაში.

საბჭოსათვის მეთოდური და სამართლებრივი დახმარების გასაწევად რაი-
 ონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე იზიდავს სახალხო
 მოსამართლეებს.

მუხლი 13. სახალხო მსაჯულთა საბჭოს საქმიანობას ტექნიკურ მომსახუ-
 რებას უწევს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს აპარატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდიანი

თ. ლაშქარაშვილი.

ბანუოფილება მიორა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

289 საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტე-
 მის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა
 მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების დარგში ხანგრძლივი
 ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტ-
 როს სისტემის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე“

აკოფიანს ოვანეს რაფაელის ძეს — ასპინძის სატყეო მეურნეობის ზედაე-
 ლენის სატყეოს უფროსს.

დუდაურს ზაალ ზაქარიას ძეს — რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსო-
 ნალურ პენსიონერს.

მამნიაშვილს გიორგი ანდროს ძეს — თბილისის ეროვნული პარკის დირექტორს.

ნახუცრიშვილს შოთა სილიბისტროს ძეს — საქართველოს სატყეო მეურნეობის დირექტორს.

სამებელაშვილს ალექსანდრე სოლომონის ძეს — თეორი წყაროს სატყეო მეურნეობის ორბეთის სატყეოს უფროსს.

ჩიხრაძეს ვახტანგ სილიბისტროს ძეს — შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკური ცენტრის უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

დიდიძეს ზურაბ გიორგის ძეს — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ახალი ტექნიკის მექანიზაციის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**.

თბილისი. 1982 წლის 1 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს-სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

283 ამხ. გ. ა. გოჯალიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სატრანსპორტო მშენებლობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის დირექტორს ამხ. გიორგი ავგუსტის ძე გოჯალიშვილს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**.

თბილისი. 1982 წლის 15 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

284 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი სამემსრულებლო მოღვაწეობისათვის თბილისის მინიატურების სახელმწიფო თეატრის მსახიობებს მიენიჭოთ საქართველოს სსრ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ჩანტლაძეს თენგიზ ვასილის ძეს — დირექტორს, სამხატვრო ხელმძღვანელს, მსახიობს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

ბჟვანელს გურამ გელას ძეს — კომპოზიტორს, მუსიკალური ნაწილის გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

გოგიაშვილს ზაირა ივანეს ასულს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

მინდიაშვილს ვლადიმერ პავლეს ძეს — თეატრის დირექტორის მოადგილეს.

ყუფარაძეს პავლე ლუკას ძეს — მთავარ ადმინისტრატორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშპარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

285 რესპუბლიკის ადვოკატურის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ადვოკატურისა და იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობისათვის და საბჭოთა ადვოკატურის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“

თალაკვაძეს რუსუდან ილიას ასულს — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

კაკაბაძეს ტატიანა ლუკას ასულს — გალის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

ლომინაძეს ალექსანდრე ირაკლის ძეს — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

პაპასკირს ნირბეი დავითის ძეს — ქ. სოხუმის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

როინიშვილს გრიგოლ ვასილის ძეს — საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

ყურაშვილს ვახტანგ არსენის ძეს — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

ხომერიკს ბენიამინ ირაკლის ძეს — ქ. თბილისის 26 კომისიის სახ. რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

მიჩრელაშვილს გიორგი მიხეილის ძეს — საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მთავარ ბუღალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

286 „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმისა და სკკპ პოლიტიკის პროპაგანდისტების გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

აგრბას მაია ალექსის ასულს — გუდაუთის რაიონის შავწყალას კალმახის მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს.

არველაძეს სიმონ ვარდენის ძეს — ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგეს, პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელს.

არუთიანიანს ვარაზდატ ტონაკანის ძეს — ზოგდანოვკის რაიონის კონდურინის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

დოლიძეს შაქრო ოსმანის ძეს — ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს.

დონდოლაძეს აკაკი ირაკლის ძეს — ქობულეთის რაიონის ოჩხამურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს, სემინარის ხელმძღვანელს.

ევგენიძეს გრიგოლ კონსტანტინეს ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს.

ეზუგუბაიას მირიან ნიკოლოზის ძეს — ვალის რაიონის მზიურის მეციტარუსეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს.

ერმაკოვს პეტრე პეტრეს ძეს — გემ „მხატვარ გაბაშვილის“ კაპიტნის პირველ თანამეწვეს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

ვკუას სარდიონ ხარიტონის ძეს — ზუგდიდის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს.

ზარიძეს ქეთევან ალექსანდრეს ასულს — თბილისის 27-ე საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს.

ზედგენიძეს გიორგი ვლადიმერის ძეს — ბორჯომის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს.

თხელიძეს რევაზ ანტონის ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს.

იარაჯულს რაისა იავორის ასულს — თიანეთის მ. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელს, სემინარის ხელმძღვანელს.

ივანიძეს ამბროსი მაქსიმეს ძეს — გურჯაანის რაიონის კაჭრეთის კოლმეურნეობის აგრომელიორატორს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

კახუშოვას შახნაბადა ჰუსეინ ყზის — საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგეს.

კედიას თამაზ ნიკოლოზის ძეს — მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანს.

კვარაცხელიას ვალერიან ჰუსარის ძეს — ვაგრის სანეპიდსადგურის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს.

კვეტენაძეს ყუტა კარპოს ძეს — წულუკიძის რაიონის სოფელ გოჩაჯიხაიშის საშუალო სკოლის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს.

კვინიკაძეს ლეონიდე სიმონის ძეს — ქ. ბოლნისის პირველადი ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივანს.

კირვალიძეს ქიტო იოსების ძეს — თელავის რაიონის კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს.

კიხელიძეს ანატოლი შათეს ძეს — პოდპოლკოვნიკს, უფროსის მოადგილეს სამხედრო ნაწილის საშტატო სპორტული გუნდის პოლიტიკურ-აღმზრდელი თითო მუშაობის დარგში.

კოგანს ისრული ეფიმის ძეს — ფოთის სანაოსნოს პარტიული კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგეს.

კოპალიანს დავით კაბიტონის ძეს — ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს, მარქსიზმ-ლენინიზმის სკოლის პროპაგანდისტს.

კოჩიევს კონსტანტინე დავითის ძეს — ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ შრომისა და ზედღასის განყოფილების უფროსს, სემინარის ხელმძღვანელს.

კუპატაძეს ალექსანდრე ვლადიმერის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს პროფკომის თავმჯდომარეს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

კურტანიძეს რუბენ ტარასის ძეს — საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგეს.

კუჭუხიძეს ნიკოლოზ გიორგის ძეს — ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის დირექტორს, საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის შტატგარეშე ლექტორს.

ლაბარტყავას აზნე ვიქტორის ძეს — საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგეს.

ლომიას კუმეშ შირინის ძეს — აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს.

ლომინაძეს გიორგი ალფესის ძეს — მახარაძის რაიონის ცხემლისხიდის საშუალო სკოლის მასწავლებელს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

ლუტიძეს ბიძინა ივანეს ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგეს.

მაისიას მადონა ივანეს ასულს — ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანების სამკერვალო ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

მაისურაძეს სოსო ევგენის ძეს — საქართველოს კომპარტიის ზნაურის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგეს.

მარიამიძეს გიორგი ალექსის ძეს — გორის რაიონის მეტეხის საშუალო სკოლის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს.

მუავიას ნიკა არსენის ძეს — მახარაძის რაიონის კონჭკათის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს.

მიქანაძეს ისიდორე სოლომონის ძეს — ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშუალო სკოლის მასწავლებელს, სემინარის ხელმძღვანელს.

ნანის ბორის პეტრეს ძეს — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალ-მშენებელი ქარხნის ხარისხის მართვის ბიუროს უფროსს, სემინარის ხელმძღვანელს.

ნარიმანოვას ნადეჟდა ბაგრატიის ასულს — თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს, პროპაგანდისტთა რაიონული სემინარის ხელმძღვანელს.

ნიკოლეიშვილს ნიკოლოზ მოსეს ძეს — ვანის რაიონის ზედავანის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს.

პაპავას გრიგოლ ამბროსის ძეს — ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს.

პეტრიაშვილს მარგარიტა აბრამის ასულს — ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს.

რთველაძეს ვიქტორ ალექსანდრეს ძეს — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონმშენებელი ქარხნის სავაგონო-სამგზავრო საამქროს უფროს ოსტატს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს.

საგიევს სერგო სუმბათის ძეს — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილეს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს.

სოხაძეს მარიამ მიხეილის ასულს — საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგეს.

ტაველიშვილს მარიამ იოსების ასულს — საქართველოს კომპარტიის საგარეოს რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის კონსულტანტს.

ტუშუბას ვლადიმერ კონსტანტინეს ძეს — ოჩამჩირის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს.

ფილიევს ვიქტორ შალვას ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდნის პროპაგანდის განყოფილების გამგეს.

ჭათამაძეს ჯემალ მეჯიდის ძეს — საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს.

ყიფიანს ზაირა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის კონსულტანტს.

ჩიქავას ლეო ლეონტის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგეს, პროფესორს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების შტატგარეშე ლექტორს.

ჩიქოზავას ნიკოლოზ ანდრიაის ძეს — ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტს, სემინარის ხელმძღვანელს.

ჩიხლაძეს კორნელი ივანეს ძეს — სამტრედიის რაიონული გაზეთის „წინსვლის“ რედაქტორის მოადგილეს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

ჩხლაძეს გივი რაფიელის ძეს — ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა კომისიის რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს.

ჩხეიძეს ავთანდილ ივანეს ძეს — ლაგოდნის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლის დირექტორს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს.

ციცხვაიას სერგო კლიმენტის ძეს — გეგეჭკორის რაიონის ნაგებერავოს საშუალო სკოლის მასწავლებელს, სემინარის ხელმძღვანელს.

წაქაძეს პეტრე იოველის ძეს — ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სემინარის ხელმძღვანელს.

ჭიხორიას შოთა სერაფიონის ძეს — საჩხერის რაიონის საირხის საშუალო სკოლის დირექტორს, საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის შტატგარეშე ლექტორს.

ხუჭუას იონა ვლადიმერის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოტივო დეპოს საექსპლოატაციო საამქროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს.

ჯანეაშვილს ნოდარ ივანეს ძეს — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მეორე საქსოვი ფაბრიკის გამგეს, კონკრეტული ეკონომიკის სკოლის პროპაგანდისტს.

ჯაფარიძეს ალიოზა ლუკას ძეს — ამბროლაურის რაიონის ურავის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს.

ჯერვალიძეს ნიკოლოზ მოსეს ძეს — მცხეთის რაიონის ძეგვის საშუალო სკოლის დირექტორს, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორს.

ჯინორიას კონსტანტინე ესტატეს ძეს — ტყვარჩელის მალაროთსამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზის უფროს ინჟინერს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

ჯღამაიას ვალერიან გაიოზის ძეს — ზუგდიდის № 103 პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგს, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

287 „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“:

ალაფიშვილს გიორგი სოლომონის ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრს.

სულხანიშვილს ანდრია სიმონის ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 22 სექტემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

288 ამხ. ნ. ი. სტურუბასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ ივანეს ძე **სტურუბას** მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 22 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტისა

289 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“

ბელმეს სოლომონ იაკობის ძეს — კორესპონდენტს აჭარის ასს რესპუბლიკაში.

ბიწაძეს დავით ივანეს ძეს — კორესპონდენტს.

გაბრიაძეს მერი დავითის ასულს — უფროს რედაქტორს.

გოროვოის პეტრე კუზმას ძეს — პასუხისმგებელ გამომშვებს.

ვიგანსკის ალბერტ ხარიტონის ძეს — პასუხისმგებელ გამომშვებს.

ზედელაშვილს ნოდარ ნიკოლოზის ძეს — თარგმანთა მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორს.

ლომიძეს ზურაბ შალვას ძეს — ღირებურობის მოადგილეს.

რასოვეს ქიარიმ მამედის ძეს — უფროს რედაქტორს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ანასტასიადის ნიკოლოზ მიხეილის ძეს — ფოტოკორესპონდენტს.

არაბულს მუხა გიორგის ძეს — უფროს რედაქტორს.

ახლაძეს თამარ ისაკის ასულს — კორექტორს.

კიკვაძეს გივი მიხეილის ძეს — ფოტოკორესპონდენტს.

მანუკოვას ეკატერინე ტიგრანის ასულს — კადრების განყოფილების გამგეს.

მაჭარაშვილს მედეა ვასილის ასულს — საინფორმაციო-საცნობარო განყოფილების გამგეს.

მოღებაძეს გენრიეტა შალვას ასულს — რედაქტორს.

სამხარაძეს ოქროპირ ალექსანდრეს ძეს — რედაქტორს.

შარუხიას თამარ იაკობის ასულს — რედაქტორს.

ჩებერიაკს დომნა პავლეს ასულს — მთარგმნელს.

ჯაფარიძეს ლეილა სიმონის ასულს — რედაქტორს.

„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი“

ბუაძეს ვენერა გიორგის ასულს — კავშირგაბმულობის კვანძის ცვლის უფროსს.

სახიშვილს ოლა ივანეს ასულს — ტელეგრაფისტს.

ტურიშჩევს სიმონ ლუკას ძეს — კავშირგაბმულობის კვანძის უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

ციმაკურიძეს მარიამ იაკობის ასულს — მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშაბარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 24 სექტემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

